



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მამედ რაჰიმი



მ. რაჰიმი

მამედ რაჰიმი (მამედ რაჰი, აბას-ოღლუ ჰუსეინოვი) (28. IV. 1907, ბაქო, - 6. V. 1977, იქვე), აზერბაიჯანელი პოეტი. ხელოვნ. დამს. მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი (1947). ავტორია ლექსების კრებულებისა „სურვილი“ (I კრებ., 1930), „მეორე წიგნი“ (1933), „სამშობლოს ტრფიალი“ (1942), „დილის მელოდია“ (1943) და სხვ. მ. რის პოეზიის თემაა შრომითი ჰეროიკა, პატრიოტიზმი, აქვს სატრფიალო ლექსებიც. II მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი პოეტური ტრილოგიისათვის „ლენინგრადის ცაზე“ მიენიჭა სტალინური პრემია. მასვე ეკუთვნის აგრეთვე პოემები: „აფშერონის მინაზე“ (1950), „კასპის ნაპირებზე“, „საიათნოვა“ (1956). თარგმნიდა ქართვ., რუს., აზიელ, სომეხ, ევროპულ კლასიკოსთა ნაწარმოებებს.

მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაში.

გ. შაყულაშვილი
